ბელა მოსია
ფილოლოგიის დოქტორი, ზსუ პროფესორი
ORCID: **0000-0002-2284-0815**

რელიგია, რწმენა, ფოლკლორი, მითოლოგია, სახალხო რელიგია – ტერმინთა გააზრებისათვის

აბსტრაქტი

ყველა მეცნიერი, რომელსაც ჰქონია საქმე ადამიანთან და მის კულტურასთან, მეტ-ნაკლებად ეხება რელიგიას, რწმენას, მითოსს, ხალხურ წარმოდგენებს. ნაშრომში განხილულია რელიგიის, რწმენის, ხალხური წარმოდგენების, მითოლოგიის არსი და ამავე დროს ის საერთო, რაც მათ აქვთ კაცობრიობის, ადამიანის აზროვნების სისტემის გასარკვევად. საინტერესოა სწორედ ის ფაქიზი ზღვრები, რომლებიც მათ აახლოებს და ამავე დროს მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან. ნაშრომში აქცენტები გაკეთებულია რელიგიის სოციოლოგიის თემებზე. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზემოხსენებულ საკითხებს აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი კი, მით უმეტეს, აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც აზროვნება ფაქტობრივად მრავალმხრივი სამიზნე გახდა სხვადასხვა პროპაგანდისა და გავლენების გავრცელების თვალსაზრისით.

ამოსავალი სიტყვები: რელიგია. რწმენა. ფოლკლორი. გავლენები

Bela Mosia
Doctor of Philology, Professor at ZSU

RELIGION, BELIEF, FOLKLORE, MYTHOLOGY, FOLK RELIGION – UNDERSTANDING OF THE TERMS.

ABSTRACT

All scientists who have dealt with man and his culture, to some extent, deal with religion, faith, myth, folk beliefs. The work interestingly discusses the essence of religion, faith, folk beliefs, mythology, and at the same time what they have in common for under-

standing humanity, the human system of thought. What is interesting are precisely those fine boundaries that bring them closer and at the same time clearly distinguish them from each other. The work interestingly emphasizes the topics of the sociology of religion. Special attention is also paid to the above-mentioned issues from the point of view of studying the history of thought. The latter is all the more relevant in the modern world, when thinking has actually become a multifaceted target in terms of the spread of various propaganda and influences.

Keywords: *Religion, Belief, Folklore, influences*.

წინამდებარე ნაშრომი მონოგრაფიული შრომის ნაწილია. საფუძვლიანი კვლევის საგნად რელიგია, მითოლოგია, ფოლკლორი, ხალხური წარმოდგენები მრავალი მიზეზის გამო გახდა. ყოველივე ის, რაც აერთიანებს საზოგადოებას, ძალიან ადვილად შეიძლება მათივე გაყოფის, დაშლის მიზეზი გახდეს. თანამედროვე მსოფლიოში კი ტენდენცია ცალკეული ჯგუფების, ე.წ. ბაბლების ჩამოყალიბებისა, მათით სხვებზე თუ მათზე გავლენების მოხდენის მიზნით, ძალიან აქტუალურია. ხშირად მსგავს გაერთიანებებს მიზანმიმართულად არასწორად წარმართავს დაინტერესებული მხარე. ეს კი სახიფათოა ადამიანის უფლების, საზოგადოების პატივისცემის თვალსაზრისით. ამდენად, კვლევის მიზნად დავისახეთ ადამიანის ფსიქოემოციური მდგომარეობა, მისი სააზროვნო სისტემა ისტორიის ჭრილში, სხვადასხვა ეპოქებში როგორ წარმოჩნდებოდა, რამდენად სწორად ერკვეოდა ადამიანი რელიგიის, საკუთრივ ხალხური წარმოდგენების, მითოსის არსში, რომ სწორად განგვესაზღვრა თანამედროვე ადამიანის უნარი – დაიცვას თავი სხვადასხვა გავლენისაგან და ამავე დროს, ის თვითონ ასრულებდეს როლს, მთავარ ფუნქციას, მუდმივად იქონიოს სასიკეთო გავლენა სამყაროზე. იმდენად, რამდენადაც ჩვენი წინამდებარე ნაშრომი ვრცელი კვლევის ნაწილია, პირველი სტატია კვლევის ფარგლებში საინტერესოა რამდენიმე ტერმინში სწორად გარკვევისთვის, როგორებიცაა: ხალხური რელიგია, ტრადიციული რელიგია, ხალხური რწმენა, ფოლკლორი, რელიგია. მითოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგია, მითოლოგია და ფოლკლორი ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ფენომენად აღიქმება, სამივეს აქვს საინტერესო და მნიშვნელოვანი საერთო. თითოეული ეხება აზროვნების სისტემას და უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ჯგუფისთვის, საზოგადოებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მითოლოგია და ფოლკლორი რელიგიის კომპონენტებიცაა, იმდენად, რამდენადაც ორივე რწმენა-წარმოდგენების ნაწილია. ფაქტობრივად, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, როგორც ხშირად ხალხურ რელიგიად წოდებულ ფენომენს, ახლავს ხალხური ცოდნა, მითოლოგიური წარმოდგენები, რიტუალების კომპლექსი, რომელთაც აქვს რელიგიური მნიშვნელობა მათი მიმდევრებისთვის.

ხალხური რელიგია თავისთავად მოიცავს მრავალფეროვან გაგებას და ის გულისხმობს ტრადიციულ რელიგიებს, როგორიცაა: აფრიკულ, ჩინურ, ადგილობრივ ამერიკელ და ავსტრალიის აბორიგენულ რელიგიებს, მაგრამ ქრისტიანული ხალხური რელიგია გულისხმობს ქრისტიანი ხალხის გამოცდილებას თავიანთი წარმოდგენები დაუკავშირონ ბიბლიასა და ეკლესიაში გამოხატულს. რამდენად შეესაბამება ტერმინი „ხალხური რელიგია" პავლე მოციქულის მიერ ნახსენებს: „წარმართები, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ" (რომ. 2. 14). „ბუნებით რჯულში" ანუ ბუნებით რელიგიაში ის გულისხმობს თვითნაბად, იმპულსურ რწმენა-წარმოდგენებს, თვითრჯულს, ხოლო „გამოცხადებულ რჯულში" ძველსა და ახალ აღთქმას[1]. პავლე მოციქულის მიერ ნახსენები „ბუნებითი რჯული" და ხალხური რელიგია სრულად ერთი არ უნდა იყოს. თვითრჯულს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან, ხოლო ხალხური რელიგია უმეტესად მისითაა ნაკარნახევი. თვითრჯულია ვაჟასთან მკლავის მოკვეთის (ალუდა ქეთელაური), მტრის მსხვერპლად შეწირვის (სტუმარ-მასპინძელი) ტრადიციები, მაგრამ ხალხური რელიგიაა ხატობაზე დამწყალობება, უფლისთვის მსხვერპლშეწირვა.

ფოლკლორი მოიცავს ტრადიციულ შემოქმედებას ხალხისას, პრიმიტიულსა და ცივილიზებულს, ხალხის რწმენასა და ცრურწმენას, წეს-ჩვეულებებსა და წარმოდგენებს, სიტყვიერ და პოეტურ, სასიმღერო და რიტუალურ ფორმებს. ფოლკლორი არ არის ხალხის შესახებ ცოდნა, არამედ ის არის ხალხის ცოდნა, რომელიც შეიძლება გავავრცოთ და ასახავდეს ყველა იმ ადათსა და ტრადიციას, რომლებიც თაობებმა გადასცეს თაობებს და გულისხმობს: სიმღერებს, კერვას, ქსოვას (სამოსის ხელოვნება), რკინაზე, სხვადასხვა ლითონზე (ოქრო, ვერცხლი და სხვა) მუშაობისა და მათი შემუშავების წესებს, მიწის სამუშაოებს, რომლებსაც თაობები ასწავლიან მომდევნო თაობებს, მესაქონლეობა-მეცხოველეობის წესებსა და მათი მოვლის ფორმებს, ყველა ტიპის ცოდნასა და წესს, რომლებიც ყოველგვარი ჩანაწერის, წიგნის ან ჩანიშვნის გარეშე გადმოგვეცემა. ფოლკლორი ემსახურება ხალხური კულტურის შენარჩუნების საქმეს. ვრცლად მსოფლიო ფოლკლორისტებს, ანთროპოლოგისტებსა და სოციალური მეცნიერების მესვეურთა მიერ ფოლკლორის შესახებ განმარტებები და მისი მრავალფეროვანი მნიშვნელობები, ფოლკლორის მატარებლებისა და შემსწავლელების ჩათვლით, მოცემულია შემდეგ სტატიაში[2]. ფოლკლორის შესწავლის დასაწყისად მე-19 საუკუნეს მიიჩნევენ. შესწავლის მიზნით ფინეთი ითვლება ფოლკლორისტიკის დასაბამად, როცა ფინელმა მეცნიერებმა ფოლკლორული მასალების მოგროვებითა და მათზე ანალიტიკური დაკვირვებით შექმნეს ფინური ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი.

1 http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90 (8 იანვარი 2023 წელი)

2 „Definitions of Folklore." Journal of Folklore Research, vol. 33, no. 3, 1996, pp. 255–64. JSTOR, http://www.jstor.org/stable/3814683. Accessed 13 Jan. 2023

რელიგია არის მისტიკის სფერო, ცხოვრების საბოლოო მნიშვნელობის ახსნა იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა იცხოვრო. რელიგიის საფუძველი რწმენაა. ყველა რელიგიის მამა შემოქმედი ღმერთია. შესაძლებელია რომელიმე რელიგიას შემოქმედი ღმერთის იდეა არ ჰქონდეს (ბუდიზმი, კონფუციანიზმი), მაგრამ სულის აღიარების გარეშე რელიგია არ არსებობს. რელიგიის ყველაზე სრული განმარტებით ის არის „ღმერთთან ვისიმე ხელახლა დაკავშირების იარაღი[1]". „რელიგია არის ადამიანთა გაერთიანება ღმერთთან დაკავშირების მიზნით" (ქარუს პაული 1904:767), თუმცა მას შემდეგ რაც სხვადასხვა ათეისტური რელიგიები და კონფესიები გაჩნდა, რელიგიის ფილოსოფოსებმა რელიგიის განმარტება კიდევ უფრო განავრცეს და ის თავისი ფართო გაგებით არის „აბსოლუტური დამოკიდებულების განცდა" (იქვე გვ. 767). საბოლოოდ კი ტერმინი რელიგია ისეთივე განუსაზღვრელი გახდა, როგორც სიტყვა „ღმერთი", რომელიც არის „უსასრულო", „პირველმიზეზი", „მარადიული", „დაუსაბამო" და ა.შ. რელიგია განსაზღვრავს, ფარავს ადამიანის, საზოგადოების ემოციურ, ინტელექტუალურ და პრაქტიკულ, ყოველდღიურ ცხოვრებას. რელიგია ადამიანის დამოკიდებულებაა სრულყოფილებისადმი და მისი მახასიათებელია რწმენა, რომელიც ამავე დროს არეგულირებს ჩვენს მოქმედებას. რელიგიის განმარტება და სწავლება სცადეს ანთროპოლოგებმაც, რომელთა შორის ყველაზე დიდი ცდა მისი არსის წვდომისა ჰქონდათ ტეილორს, ფრეზერს, დიურკ ჰეიმს, რომლებიც ძირითადად ფსიქოლოგიურად ორიენტირებული იყვნენ, მაგრამ არა იმ განწყობით, რომ ფსიქოლოგიის პროგრესი ან მისი თეორიის განვითარების კვლევა მოეცათ. ყველაზე საინტერესო იყო მათი განმარტებებით რელიგიის საფუძვლად ინტელექტის დასახელება. მიუხედავად ამ მცდელობისა, მაინც მოძველებულმა ფსიქოლოგიურმა მიდგომებმა მათი მოსაზრებები გამოუსადეგარი გახადა[2]. მათი მცდელობები უმეტესად მითის ბუნების, არსის განმარტების მცდელობა იყო. რელიგიის მეცნიერულად შესწავლის მცდელობაა მისი მხოლოდ რელიგიის მიხედვით სწავლება, რასაც ემსახურება თეოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, ხოლო სოციალური მეცნიერებები, ფილოსოფია, ფსიქოლოგია სწავლობენ რელიგიას სხვა სოციალურ-კულტურულ მოვლენებთან დაკავშირებით. დიდი ხანია საქართველოში უკვე ყალიბდება ცალკე დისციპლინად რელიგიური სოციოლოგია, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი. როდესაც რელიგია გადაიქცევა შესწავლის სფეროდ, ეს უკვე ნიშნავს საზოგადოებისთვის მის სასიცოცხლო ფუნქციას.

ცალკე თემაა მითოლოგიის არსის გააზრება, რომლის შესახებ ვრცლად მსჯელობს შტრაუსი სტატიაში „მითის სტრუქტურული სწავლებისთვის" (შტრაუსი 1955:428-44). მითს, ერთ-ერთი განმარტებით, უკავშირებენ ენას, რომელიც უნდა იცოდე, უნდა გამოხატო სიტყვებით, დაახლოებით ეს არის საუბრის ერთ-ერთი კომპონენტი. თუმ-

1 https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/religia1992/ra-aris-religia (13 იანვარი 2023 წელი)

2 Lévi-Strauss, Claude. „The Structural Study of Myth." The Journal of American Folklore, vol. 68, no. 270, 1955, pp. 428–44. JSTOR, https://doi.org/10.2307/536768. Accessed 16 Jan. 2023

ცა, ეს ვერ ამოწურავს მითის სრულ არსს. მითისთვის დამახასიათებელი უმთავრესი ისაა, რომ ის არის წარსულში, კონკრეტულ დროში მომხდარი, მაგრამ სრულიად გამაოგნებელია ის, რომ ის არის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. პლატონიდან, სოფისტებიდან მოყოლებული და ბერძენთა ნააზრევში პრობლემა იყო მითის ბუნება, როგორ განემარტათ მისი კავშირი როგორც რაციონალურ, ფილოსოფიურ ჭეშმარიტებასთან, ასევე ტრადიციულ და რელიგიურ რწმენებთან. სოფისტები და ბერძენი განმანათლებლები გაერთიანდნენ და ტრადიციული მითები და თეოგონიური ზღაპრები განმარტეს როგორც ალეგორია, ავლენენ რა ნატურალისტურ და მორალურ ჭეშმარიტებებს. ალეგორიულობის განმარტების თეორია კრიტიკის ობიექტი გახდა პლატონის მხრიდან და გაგრძელება ჰპოვა ნეოპლატონიკოსებისა და სტოიკოსების ფილოსოფიაში ელინისტურ ხანაში, რომლებმაც ხაზი გაუსვეს ტრადიციულობის ავტორიტეტულობას და ასევე რელიგიის სახელმწიფოებრიობას, მის პრეროგატულობას სახელმწიფოსთვის. იმპერატორი იულიანე და ფილოსოფოსი სალუსტიუსი მითს მიიჩნევდნენ ღვთაებრივ ჭეშმარიტებად, რომელიც დაფარულია ხალხისთვის, მაგრამ ცხადია ბრძენთათვის. ყველაზე კლასიკური განმარტებით ჩვ. წ. აღ-მდე მესამე საუკუნეში ეუჰემერუსმა განმარტა, რომ ტრადიციული მითები ღმერთებსა და გმირებზე მალავენ არა ზებუნებრივ მისტერიებს, არამედ რეალურ ისტორიებს გადმოსცემენ პროზაულად. ადრინდელ ქრისტიანულ ეპოქაში ქრისტიანმა და ებრაელმა თეოლოგებმა პილომ და წმინდა ავგუსტინემ გადაწყვიტეს განემარტათ ძველი აღთქმის სიუჟეტები ალეგორიულად და ლიტერატურულად, მაგრამ იგივე არ უცდიათ წარმართული მითებისადმი. XV-XVI საუკუნეების რენესანსის ეპოქაში ცხოველური ინტერესი გაჩნდა ბერძნული ხელოვნებისადმი. ტიციანის, ტინტორეტოს, მიქელანჯელოს და ლეონარდო და ვინჩის ხელოვნების ნიმუშები უკვე მითოსური ელემენტებით ივსება, რითაც ხდება ახალი საერო იდეების სიმბოლური გამოხატვა. გვიან XVII-XIX საუკუნის რომანტიზმისთვის მითი გახდა თაყვანისცემის საგანი და გადაიქცა ადამიანური კულტურის მთავარ წყაროდ[1]. XVIII საუკუნისთვის მითოლოგია ცალკე მეცნიერებაა, მაგრამ დღეს იგი შესწავლის არც ისე მარტივი თემაა და გადაიქცა ანთროპოლოგიის, ლიტერატურის, თეოლოგიის, ფოლკლორის და დღითიდღე მეტი და მეტი დარგის ინტერესის სფეროდ. იოსებ ქემფბელი, როგორც მითოლოგი, ყველგან ხედავს არქეტიპულ სიმბოლოებს, გამეორებულ თემებს – ცეცხლის მოპარვა, ქალწულებრივი შობა, რეინკარნაცია, დაბრუნებული გმირები – რომლითაც ის მსოფლიო ზღაპრებს, მითებსა და ლეგენდებს აკავშირებს და ხსნის ადამიანის ძირითად ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნებად. ის წერდა „Mythology is the womb of mankind's initiation to life and to death = მითი არის კაცობრიობის დაბადებისა და გარდაცვალების საშო, დასაბამი“ (დორსონი 1973:108).

1 Bidney, David. „Myth, Symbolism, and Truth.“ *The Journal of American Folklore*, vol. 68, no. 270, 1955, pp. 379–92. *JSTOR*, https://doi.org/10.2307/536765. Accessed 6 Feb. 2023.

რელიგიის სოციოლოგია: ჩვენი წინამდებარე ნაშრომის გარშემო კვლევა არ იქნება სრული, თუ არ შევეხებით რელიგიის სოციოლოგიის საკითხს. მისი შესწავლის ისტორია არც ისე ახალია, თუმცა, ვერც ტრადიციულად მივიჩნევთ. საქართველოში აღნიშნული თემის გარშემო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში იწერებოდა, მაგრამ მაშინდელი შრომები, ბუნებრივია, ვერ უპასუხებენ დღევანდელ მოთხოვნებს. რელიგია, ეკლესია, რწმენა საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ არა ერთი მეცნიერის (ისტორიკოსი, ფილოლოგი, თეოლოგი, ფსიქოლოგი და სხვათა) მონოგრაფიული და სხვა ტიპის კვლევის სფერო გამხდარა, მაგრამ რელიგიის სოციოლოგიის შესახებ მცირეა დაწერილი. რელიგიის სოციოლოგია სოციოლოგიის სფეროს ინტერესს წარმოადგენს და ისწავლება ამ მიმართულების სტუდენტებისთვის. აღნიშნულის გარშემო 2011 წელს შეიქმნა ლექციების კურსი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ხოლო 2020 წელს განახლებული სახელმძღვანელო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. არც ჩვენ გვაქვს ამ მიმართულებით ორიგინალური ქართული კვლევის შექმნის პრეტენზია, უბრალოდ, ჩვენი მიზანია რელიგიის სოციოლოგიის საკითხის კვლევის ისტორიისა და არსებული რეალობის შესწავლა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს წინამდებარე ნაშრომს შევუქმნათ რეალისტური საფუძველი და ის წარმოვადგინოთ როგორც რელიგიის სოციოლოგიის დარგში შექმნილი საინტერესო შრომა – მოიცავს რა ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, სახალხო რელიგიას, რელიგიას, სოციუმისა და რელიგიის მიერ დამკვიდრებული რწმენა-წარმოდგენების გახალხურების უნიკალურ მაგალითებს ისტორიულად დღემდე. ვეყრდნობით რა ფოლკლორულ მასალებს, ხალხში დღემდე დამკვიდრებულ სახალხო რელიგიის მაგალითებს, მიგვაჩნია, რომ კიდევ ერთხელ დავეხმარებით რელიგიით, ფოლკლორით, ეთნოგრაფიით, თეოლოგიითა და სოციალური მეცნიერებებით დაინტერესებულ პირებს მკაფიოდ და ცხადად დაინახონ აზროვნების ისტორიაში მიმდინარე საინტერესო პროცესები. შრომა ინტერდისციპლინურია და საინტერესოდ დააკმაყოფილებს ფართო მასების მკითხველის ინტერესსაც და საინტერესო დახმარებას გაუწევს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს.

თანამედროვე ადამიანს რელიგიით დაინტერესება მხოლოდ და მხოლოდ არსებობის უკვდავებისა და მარადიულობის განცდაში დასახმარებლად არ სჭირდება. დღევანდელი ადამიანის მოთხოვნა მაღალინტელექტუალურია. რელიგიის, თეოლოგიის, ეკლესიის წარმომადგენლები დგანან გამოწვევის წინაშე, დააკმაყოფილონ საზოგადოებრივი მოთხოვნები და გაეცეს კითხვებს პასუხები, რამდენად შესაძლებელია თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს სისრულის შევსება.

რელიგიის სოციოლოგიას აქვს თავისი საგანი და ეს არის რელიგიის გენეზისი, მისი სოციალური ფუნქცია, ადგილი და როლი საზოგადოებაში, რელიგიურ ჯგუფებსა და ინსტიტუციებს შორის ურთიერთკავშირი, ამ უკანასკნელთა კავშირი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. რელიგიის სოციოლოგიის კვლევის საგნად მიიჩნევა აგრეთვე სეკულარიზაციისა და რელიგიურობის პრობლემები. რელიგიის სოციოლოგია გვეხ-

მარება სოციალური პროცესების გარკვევაში, მით უმეტეს დღეს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური პრობლემები საჭიროებს დაკვირვებას, რომ სწორად განვსაზღვროთ რელიგიის გავლენა საზოგადოებაზე.

სამყაროს ურთულეს პროცესებში გარკვევა ოდითგანვე იყო ადამიანის საზრუნავი. უფლის შემოქმედებითობის ნაყოფი, თავის თავში უამრავ კითხვას მოიცავდა და ადამიანი ამ კითხვებზე პასუხების ძიებაში ქმნიდა აზროვნების სისტემას, რომელიც ყოველთვის იყო რაციონალური, მაგრამ მუდმივად იყო გაჯერებული ფანტაზიით, გამონაგონით, რომლებითაც ასევე იქმნებოდა ღირებულებათა სისტემა, რომელზეც იზრდებოდნენ თაობები.

ადამიანი როგორც ზებუნებრივი ძალით სავსე არსება, უფლის შემოქმედებითობას აგრძელებს, თუმცა, მისი შესაძლებლობები განსაზღვრულია. ის მუდმივად ისწრაფვის სრულქმნილებისკენ, რათა მიეახლოს უფალს, შემოქმედს. უფალმა ადამიანი შექმნისას ორი დიდი ნიჭით შეამკო: „პირველი ნიჭი კაცისა არის ჭკუა, ანუ გონება, რომლითაც იგი იცნობს ღმერთს, ბუნებასა და თავის თავს და ჰმართავს თვისსა ცხოვრებასა და თვისსა საქმესა, მეორე ნიჭი კაცისა არის თავისუფლება, რომლითაც მას შეუძლიან განრჩევა კეთილისა და ბოროტისა და შეყვარება ერთისა ან მეორისა“ (ქადაგებანი 1913:181).

თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობა არ არის მხოლოდ კონკრეტულ სივრცესა და გარემოში ცხოვრება და ამ გარემოსთან ადაპტირებისა თუ მის შესახებ ინფორმაციის ძიების, მისით ცხოვრების გამოწვევა. თანამედროვე ადამიანი საკმაოდ დიდი მსოფლიოს ნაწილია, გლობალურ სამყაროში ადგილის მაძიებელია და ბუნებრივია, ეს განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს მისგან. ამავე დროს, ბუნებრივია ადამიანის წინაშე მუდმივად დგას რწმენის, მარადისობის, მარადიულის, საკუთარი თავის რწმენის გარშემო კითხვები. დღევანდელმა მსოფლიომ ადამიანი საკმაოდ პრაგმატული გახადა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასოდეს ის არ დარჩენილა რწმენის გარეშე. მის ამ უნიკალურ ბუნებას კარგად იცნობს მსოფლიოც და ადამიანით დაინტერესებული მხარეები: ბიზნესი, მედიცინა, ფარმაცია, პოლიტიკა და ეს უკანასკნელნო საკმაოდ კარგად იყენებენ მას, ანუ ადამიანს, თავიანთი გლობალური თუ ვიწრო ინტერესებისთვის. ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს მათ წარმატებულობას, გამომდინარე იქიდან, რომ სწრაფად ცვალებად გარემოში, ისედაც ადამიანისთვის ბოძებულ მოკლე დროში, სწორი და თანმიმდევრული განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობების პირობებში, ძალიან ადვილია ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ჩაითრიო, ჩაიყოლიო საქმეში და შენი ინტერესების ნაწილი გახადო. შემთხვევით არ გვიხსენებია სწორი და თანმიმდევრული განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. საქართველო ამ მხრივ არა თუ გამონაკლისი არ გამოდგა, როგორც დღეს ვხედავთ, ის ყველაზე მეტად გახდა სამიზნე გავლენებისა და სხვადასხვა რწმენაზე დაფუძნებული მავნე პროპაგანდის, რომ წარსულმაც და აწმყომაც თავის სასარგებ-

ლოდ დააზიანოს აქ ადამიანი, არ მისცეს მას პირადი განვითარების საშუალება, რომ მან შეძლოს საკუთარი მთავარი ნიჭის – თავისუფლების – განვითარება. ადამიანი გონიერი არსებაა და ბუნებრივია მას ახასიათებს აზროვნება, მან უნდა დასვას კითხვები, მაგრამ სახელმწიფომ მას უნდა შესთავაზოს კითხვებზე პასუხების გაცემის სწორი და თანმიმდევრული, ეროვნული და ზნეობრივად მოწესრიგებული პირობები. მაშინ როდესაც საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნა ჯერ კიდევ დგას, იმ პირობებში, სადაც ადამიანი მზა პასუხებს მოითხოვს და ის ვერ გრძნობს ძიების „სიამეს", არ ინტერესდება შრომით, არ უყვარს შემეცნებითი წინსვლა და მისით განცდილი ემოცია, ადვილია მზა პასუხები მოამზადო, შესთავაზო და ადამიანი მიიმხრო, გადაიბირო. ამის საფუძვლად კი ადვილად შეიძლება გამოიყენო რელიგია, ტრადიციული აზროვნება, სააზროვნო სისტემა. რა უნდა ქნას ასეთ დროს ადამიანმა, რომელიც არა მხოლოდ თვითონ რჩება დაუცველი პირისპირ მსგავსი გავლენების დროს, არამედ უნებლიედ მოაქცევს თავის წრეში იმ ადამიანებსაც, რომლებზეც ის კისრულობს პასუხისმგებლობას. მაგ: ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს. სწორედ ამ მიზნით იქმნება ჩვენი წინამდებარე ნაშრომი, რომელსაც შეუძლია ადამიანს სწორი წარმოდგენები შეუქმნას გავლენების, პროპაგანდის შესახებ რომ ადამიანში გადარჩეს ადამიანი, თავისუფალმა ადამიანმა ისე იცოცხლოს მასში, რომ მან არა მხოლოდ ფიზიკურად შვას მომავალი, არამედ გადაარჩინოს მომავალი როგორც აბსოლუტური კეთილდღეობის სივრცე და ადამიანი ამ კეთილდღეობის უცვლელი შემოქმედი გახადოს. ეს არის პროგრესი, ამას ვუწოდებთ მოწესრიგებულ განვითარებას.

იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ვრცელი შრომის ნაწილია, მის მიზანს ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მისი მიზანია საკითხის დასმა, ტერმინებში გარკვევა და შემდგომი კვლევის დასახვა: წარმოაჩინოს აზროვნება როგორც ისტორიული პროცესი და ხაზგასმით და მკაფიოდ ახსნას ამ რთულ სისტემაში სწორად გარკვევის მიზნით, რას ნიშნავს თავისუფლება; როგორია თავისუფალი ადამიანი და რა არის მისი არსებობის ბედნიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქადაგებანი: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თქმულნი 1870-1884 წლებში, II, გამოცემა მეოთხე, ქუთაისი, 1913.

ლინკები:

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90 (8 იანვარი 2023 წელი).

ფოლკლორის განმარტება, ფოლკლორული სწავლების ჟურნალი, ტომი 33, N3, 1996 წ. გვ. 255-64 . „Definitions of Folklore." *Journal of Folklore Research*, vol. 33, no. 3, 1996, pp. 255-64. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/3814683. Accessed 13 Jan. 2023

ქარუს პაული 1904, „რელიგიის განმარტება“. ტომი 4, N5, 1904 წელი, გვ. 766-70. Carus, Paul. „DEFINITION OF RELIGION.“ *The Monist*, vol. 14, no. 5, 1904, pp. 766–70. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/27899545. Accessed 13 Jan. 2023.

ნაშ ჰენრი 1913, „რელიგიის ბუნება და განმარტება“, ჰარვარდის თეოლოგიური მიმოხილვა, ტომი 6, N1, 1913. გვ. 1-30. Nash, Henry S. „The Nature and Definition of Religion.“ *The Harvard Theological Review*, vol. 6, no. 1, 1913, pp. 1–30. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/1506969. Accessed 13 Jan. 2023.

ლევი შტრაუს 1955, კლაუდე. „მითის სტრუქტურული სწავლებისთვის“ ამერიკული ფოლკლორის ჟურნალი, ტომი 68. N270, 1955. გვ. 428-44. Lévi-Strauss, Claude. „The Structural Study of Myth.“ *The Journal of American Folklore*, vol. 68, no. 270, 1955, pp. 428–44. *JSTOR*,
https://doi.org/10.2307/536768. Accessed 16 Jan. 2023.

ბიდნეი დ., „მითი, სიმბოლო და სიმართლე“, ამერიკული ფოლკლორის ჟურნალი, ტომი 68, N 270, 1955, გვ. 379-92, Bidney, David. „Myth, Symbolism, and Truth.“ *The Journal of American Folklore*, vol. 68, no. 270, 1955, pp. 379–92. *JSTOR*, https://doi.org/10.2307/536765. Accessed 6 Feb. 2023.

ქეცბაია 2020, კახა ქეცბაია, რელიგიის სოციოლოგია (განახლებული სახელმძღვანელო), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ. 2020.
https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Religiis_Sociologia.pdf

რელიგიის სოციოლოგია 2011, რელიგიის სოციოლოგია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სალექციო კურსი

დორსონი რ. 1973, Dorson, Richard M. „Mythology and Folklore.“ *Annual Review of Anthropology*, vol. 2, 1973, pp. 107–26. *JSTOR*, http://www.jstor.org/stable/2949263. Accessed 16 May 2023.